ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7303508

ნომერი: AR11063588

თარიღი : 25.10.2024

გაცემის თარიღი : 28.11.2024

გაცნობის თარიღი : 28.11.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა, N 52;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა თავდუმაძე პ/ნ 35001122566
- საქართველო, ქალაქი რუსთავი, პავლე თოდრიას ქუჩა, N 5, ბინა 120

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2024 წლის 25 ოქტომბრის AR11063588 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N52-ში არსებული კარის რეკონსტრუქციის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. განგიმარტავთ, რომ სამსახურის მიერ 2024 წლის 29 თებერვლის № 6898393 ბრძანებით შეთანხმდა ქ.თბილისში (სექტორიმთაწმინდა), მ.კოსტავას ქ.N52-ში არსებული პოლიკლინიკის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ვინაიდან წარმოდგენილი სქემატური ნახაზების მიხედვით იცვლება ფართი და 2024 წლის 29 თებერვლის № 6898393 ბრძანებით შეთანხმებული სამუშაოები არ არის დასრულებული ან/და ობიექტი არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, საჭიროა მოთხოვნა დააყენოთ შეთანხნებული პროექტის ცვლილებაზე და წარმოადგინოთ შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია.
2. ვინაიდან წარმოდგენილი მინდობილობა ვადაში იყო 2024 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით და აღნიშნულ ვადაში არ იქნას დასრულებული განაცხადის განხილვა და ვერ იქნა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, საჭიროა წარმოდგენილ იქნას განახლებული ვადაში მყოფი მინდობილობა.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.